მანანა ელბაქიძე

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი
უფლებამოსილი ფიზიკური პირი/ექსპერტი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა #80

ქ. თბილისი 25 ოქტომბერი, 2019

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ლესელიძე , N 5-7

ობიექტის საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.030

დამკვეთი: ირინა დგებუაძე / შპს ეიჩ-არ-სი

საფუძველი: დამკვეთის მომართვა მის კუთვნილ ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე.

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 4

შეფასებული მცენარეების რაოდენობა: 4

კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური და ტაქსონომეტრიული გაზომვები

საკვლევი ობიექტის ფართობია 311 მ^2, **რელიეფურად** - ვაკე, შენობის კედლებს შორის მოქცეული სივრცე.

საექსპერტო დასკვნას თან ახლავს **არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.**

#	მცენარის ქართული და ლათინური სახელწოდებები	სასიცო-ცხლო ფორმა	დიამეტ-რი ფესვის ყელიდან 10 სმ სიმაღლე ზე (სმ)	სიმაღლე მ H	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1.	ფორჩუნის ტრაქიკარპუსი Trachycarpus fortunei	პალმა	20	9	ჯანსაღი; აღენიშნება ქვედა ფოთლების გაყვითლება და ჭკნობა, რაც ამ სახეობისათვის ბუნებრივი პროცესია.	იზრდება დაგეგმილი მშენებლობის ზონაში. აქედან გამომდინარე, ექვემდებარება გადარგვას არასავეგეტაციო პერიოდ-ში სათანადო აგროტექნი-კური წესების დაცვით.
2.	ფორჩუნის ტრაქიკარპუსი Trachycarpus fortunei	პალმა	17	6,5	ჯანსაღი	იზრდება დაგეგმილი მშენებლობის ზონაში. აქედან გამომდინარე, ექვემდებარება გადარგვას არასავეგეტაციო პერიოდ-ში სათანადო აგროტექნი-კური წესების დაცვით.
3.	გლიცინია, ვისტერია	ხვიარა	21	აივანის	ჯანსაღი	იზრდება დაგეგმილი

პ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

	Wisteria sinensis			მოაჯირ-ზე აშვე-ბული.		მშენებლობის ზონაში. აქედან გამომდინარე, ექვემდებარება გადარგვას არასავეგეტაციო პერიოდ-ში სათანადო აგროტექნი-კური წესების დაცვით.
4.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	10	აივანის მოაჯირ-ზე აშვე-ბული.	ჯანსაღი	იზრდება დაგეგმილი მშენებლობის ზონაში. აქედან გამომდინარე, ექვემდებარება გადარგვას არასავეგეტაციო პერიოდ-ში სათანადო აგროტექნი-კური წესების დაცვით.

საკვლევ ტერიტორიაზე ხარისხობრივად შეფასებული 4 მცენარიდან
2 ძირი მიეკუთვნება პალმებს:

№1 ფორჩუნის ტრაქიკარპუსი - Trachycarpus fortunei
№2 ფორჩუნის ტრაქიკარპუსი - Trachycarpus fortunei

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე პალმების მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

2 ძირი მიეკუთვნება მერქნიან ხვიარა მცენარეებს:

№3 გლიცინია, ვისტერია - Wisteria sinensis
№4 ვაზი - Vitis vinifera

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მერქნიან **ხვიარა მცენარეების** მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

გარდა ზემოთაღნიშნული სახეობებისა, საკვლევ ტერიტორიაზე არ იზრდება სხვა მერქნიანი მცენარე.

შემსრულებელი,
ექსპერტი მანანა ელბაქიძე

ბ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№1 ფორჩუნის ტრაქიკარპუსი - Trachycarpus fortunei



№2 ფორჩუნის ტრაქიკარპუსი - Trachycarpus fortunei



№3 გლიცინია, ვისტერია - Wisteria sinensis



პ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

№4 ვაზი - Vitis vinifera



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200173885**
თარიღი: **17/01/2020**
პინი: **1830**

ადრესატი: შპს აგუნა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204380384

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 14 იანვრის N10/01200142361-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტის, მანანა ელბაქიძის 2020 წლის 14 იანვრის მწვანე ნარგავების სარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა; ფოტომასალა; ფოტომონტაჟი), რომლითაც ითხოვთ თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა, N5-7, ს.კ.: 01.18.03.039.030) **III კლასის რესტორნის რეკონსტრუქციის მიზნით, მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვას.**

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები რაოდენობის, 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა ან/და გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებული 1 ძირი ვაზი (N4) განეკუთნება ხილ-კენკროვანთა ჯგუფს, **შესაბამისად, თქვენ არ გჭირდებათ სამსახურის ნებართვა იმისთვის, რომ მოჭრათ ან/და გადარგოთ აღნიშნული ხილ-კენკროვანი ნარგავი.**

ასევე, გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი მცენარეების გარდა უნებართვოდ მოიჭრება ან/და გადაირგვება სხვა სახეობის მწვანე ნარგავი, სამართალდამრღვევის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გარდა ამისა მოგახსენებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, წარმოდგენილი მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნისა და ტოპო. გეგმის გათვალისწინებით, ვინაიდან, **1 ძირი ჯანსაღი გლიცინია, ვისტერია** (N3-დ.21სმ, ხვიარა), რომელიც განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა გასცეს მისი მოჭრის ნებართვა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენთ სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას/ წერილობით თანხმობასა და აღდგენითი ღირებულების გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.**

ზემოაღნიშნული 1 ძირი ხვიარა მცენარის მოჭრის ნებართვის მისაღებად გეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდა, რომელიც კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ცხრილი N4-ის შესაბამისად, **შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს.** აღნიშნული უნდა შეიტანოთ ერთიან სახაზინო ანგარიშზე (სახაზინო კოდი - №300773292 ბანკის კოდი- TRESGE22).

ასევე, დადგენილების 21-ე და 21^2-ე მუხლების საფუძველზე, ასევე, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და ტოპო. გეგმის გათვალისწინებით, 2 ძირი პალმა (N1-დ.20სმ; N2-დ.17სმ) არის ჯანსაღი

ეგზემპლარი, რომლებიც მდებარეობს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, რაც აფერხებს საპროექტო სამუშაოების განხორციელებას. **შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს აღნიშნული 2 ძირი მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის (რეკონსტრუქციის) წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.**

აქვე დავძენთ, მოცემული ნარგავების გადარგვის დრო და ადგილმდებარეობა დადგინდება მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ.

ამდენად, სამსახური წინააღმდეგი არ არის განახორციელოთ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში N:AR1716647 წარდგენილი განცხადებით, გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი